ტესტების შექმნის ხელოვნება

მოამზადა მაია ინასარიძემ

მასალა მომზადებულია წიგნების - „როგორ შევადგინოთ პედაგოგიური ტესტები“ და „ტესტური დავალებების შექმნის ხელოვნება“- მიხედვით.

ტესტის რაობა

ტესტი - ეს არის
დავალებათა ერთობლიობა,
რომელიც მოსწავლის
ცოდნისა და უნარების
შესაფასებლად იქმნება.

ტესტი შეიძლება იყოს

ჰომოგენური (ანუ ერთგვაროვანი) პედაგოგიური ტესტი ერთი საგნის დავალებებისაგან შედგება

ჰომოგენური	ჰეტეროგენური
ერთგვაროვანი	არაერთგვაროვანი

ჰეტეროგენული (არაერთგვაროვანი) პედაგოგიური ტესტი რამდენიმე საგნის დავალებებს მოიცავს.

ნორმასა და კრიტერიუმზე ორიენტირებული ტესტები

ნორმაზე ორიენტირებული ტესტის დროს კონკრეტული მოსწავლის მონაცემი დარდება ნორმას ან სხვა მისი მსგავსი მოსწავლის მიერ შესრულებულ ნამუშევარს.

კრიტერიუმზე ორიენტრებული ტესტის დროს მოსწავლის ქულა დარდება კრიტერიუმს, ანუ დგინდება, რამდენად კარგად ასრულებს მოსწავლე გარკვეულ საქმიანობას და რა ცოდნას ფლობს.

პედაგოგიური ტესტირების დანიშნულება



პედაგოგიური ტესტირების დანიშნულება

- ობიექტურია;
- სამართლიანია, რადგან ყველა მოსწავლე თანაბარ პირობებშია;
- საშუალებას იძლევა გავიგოთ, როგორ არის დაძლეული თითოეული მოსწავლის მიერ მთელი მასალა და არა მხოლოდ გარკვეული ნაწილი;
- ეფექტურია დროის ეკონომიის თვალსაზრისით.



ტესტირების სუსტი მხარეები

- შედგენა ხანგრძლივი და შრომატევადი პროცესია;
- ხშირად არ იძლევა საკითხში ჩაღრმავების საშუალებას;
- მაღალია შემთხვეთობის ალბათობა;
- ნაკლებად იძლევა მაღალი დონის და შემოქმედბითი უნარების შეფასების შესაძლებლობას;
- მოსწავლის ინდივიდუალური სწავლის სტილის გათვალისწინება ძნელია;
- არ გვაძლევს მასალის ვერდაძლევის მიზეზების დადგენის შესაძლებლობას;
- შედეგებზე შეიძლება გავლენა ჰქონდეს ემოციურ მდგომარეობას.

ტესტური დავალებების ტიპები

- “ჭეშმარიტია-მცდარია” ტიპის დავალებები;
- არჩევითპასუხიანი დავალებები;
- შესაბამისობის დავალებები;
- დავალება სწორი თანამიმდევრობის დადგენაზე;
- დავალება ღია დაბოლოებით.



ტესტურ დავალებათა ტიპები

დახურული ტიპის ტესტური დავალება	ღია ტიპის ტესტური დავალება
“ჭეშმარიტია-მცდარია” ტიპის ტესტური დავალება;	ტესტური დავალება ღია დაბოლოებით;
ტესტური დავალება მრავალთა შორის არჩევითი პასუხით;	ესე.
ტესტური დავალება შესაბამისობის დამყარებაზე;	
ტესტური დავალება სწორი თანმიმდევრობის დადგენაზე.	

“ჭეშმარიტია-მცდარია” ტიპის ტესტური დავალება

რაობა	„ჭეშმარიტია-მცდარია“ ტიპის ტესტური დავალება დახურული ტიპის დავალებების ერთ-ერთი ფორმაა, რომელსაც ორი შესაძლო პასუხი აქვს. ამ შემთხვევაში მოსწავლემ უნდა შეაფასოს მტკიცებულების ჭეშმარიტება ან მცდარობა; ტესტურ დავალებას თან ახლავს ინსტრუქცია: „შემოხაზეთ სწორი პასუხი.
გამოყენება	„ჭეშმარიტია-მცდარია“ ტიპის დავალება, ჩვეულებრივ, მაშინ გამოიყენება, როდესაც დიდი მოცულობის მასალის ცოდნა დროის მცირე მონაკვეთშია გადასამოწმებელი და ისეთ დებულებებს, მტკიცებულებებს ვამოწმებთ, რომელთაც ორი ლოგიკური პასუხი აქვთ. ასეთი ტიპის ტესტები საკმაოდ პოპულარულია, რაც ძირითადად იმითაა გამოწვეული, რომ ადვილია შესაქმნელად და ასევე ნაკლები დრო სჭირდება მათ შევსებას.

“ჭეშმარიტია-მცდარია” ტიპის ტესტური დავალება

	მაგალითები
1.	ქვემოთ მოცემული წინადადებებიდან ზოგიერთ შეესაბამება სიმართლეს, ზოგიერთი - არა. თითოეული წინადადების გასწვრივ მონიშნე, სწორია თუ მცდარი. მაგალითები: - მიხო დაკარგულ საქონელს ეძებდა. - ჭეშმარიტია / მცდარია - მიხომ ქუდი ჯოხზე წამოაცვა. - ჭეშმარიტია / მცდარია - როდესაც მიხოს ქუდი იპოვეს. მას ფორმა შენარჩუნებული ჰქონდა. - ჭეშმარიტია / მცდარია
2.	არსებითი სახელი საგნის ნიშან-თვისებას გამოხატავს. ა) ჭეშმარიტია ბ) მცდარია

“ჭეშმარიტია-მცდარია”

ძლიერი მხარე	სუსტი მხარე
მოკლეა და შევსებას დიდი დრო არ სჭირდება.	სწორი პასუხის გამოცნობის ალბათობა 50%.
სწრაფი დიაგნოსტირების საშუალებაა.	რთულია მტკიცებულებათა ფორმულირება.
ადვილია ქულების დათვლა.	ვერ ზომავს მაღალი დონის სააზროვნო უნარებს.
	სანდოობისათვის დიდი რაოდენობის ასეთი ტესტის შედგენაა საჭირო.
	ძნელია მოსწავლეთა სელექცია.

რეკომენდაციები



- წინადადებები უნდა იყოს მოკლე, მკაფიო და ნათელი;
- დებულებები ერთმნიშვნელოვნად მცდარი ან სწორი უნდა იყოს;
- არ უნდა იყოს ზოგადი და ყველაფრის მომცველი;
- დავალებათა თანაბარი რაოდენობა უნდა იყოს, თუმცა დასაშვებია: მცდარი - 60%, სწორი - 40%;
- არ გამოვიყენოთ ორმაგი უარმყოფელი დებულებები;
- შემთხვევითობის გამოსარიცხად რაოდენობა გავზარდოთ;
- არ შევიტანოთ ტრივიალური საკითხები.

არჩევითპასუხიანი დავალებები

რაობა	დავალება ორი ნაწილისაგან შედგება: პირობის, რომელიც ჩამოყალიბებულია შეკითხვის ან მტკიცებულების სახით, და პასუხების ვარიანტებისაგან, რომელთა შორის მოსწავლემ სწორი პასუხი უნდა აირჩიოს. სავარაუდო პასუხების რაოდენობა ძირითადად ოთხი ან ხუთია. დავალებას თან ახლავს ინსტრუქცია: „შემოხაზეთ სწორი პასუხი”. საბოლოოდ პასუხები დარდება ტესტის „გასაღებს“ და სწორი პასუხების მიხედვით ითვლება ქულები.
გამოყენება	ტესტური დავალება არჩევითი პასუხით გამოიყენება მაშინ, როდესაც გვსურს შევაფასოთ მოსწავლის მომზადება, ფაქტობრივი ცოდნიდან დაწყებული შეფასებით დამთავრებული. ასეთ დავალებებს უფრო მეტად იყენებენ მაღალ კლასებში.

არჩევითპასუხიანი დავალებები

	მაგალითები
1.	ამოირჩიე მოცემული სიტყვებიდან **ერთი** სიტყვა, რომელიც, შენი აზრით, ყველაზე უკეთ გამოხატავს ჩალისფერას ხასიათს. მონიშნე შენი პასუხი. მაგალითები: ა) დაუფიქრებელი ბ) ცნობისმოყვარე გ) მამაცი დ) საზრიანი
2.	**„თერგდალეულთა“ რომელი იდეაა მხატვრულად ხორცშესხმული ილია ჭავჭავაძის „ოთარაანთ ქვრივში“?** ა) ბატონყმობის გადავარდნის შემდგომ ახალი ქვეყანა სხვადასხვა წოდების ადამიანებს საერთო ძალისხმევით უნდა აეშენებინათ. ბ) ბატონყმობის გადავარდნის შემდგომ ახალი ქვეყნის აშენება მხოლოდ მაღალი სოციალური წრის ადამიანებს შეეძლებოდათ. გ) ბატონყმობის გადავარდნის შემდგომ სოციალურ კლასებს შორის დაპირისპირება ქვეყნის განვითარებას ახალ იმპულსს მისცემდა. დ) ბატონყმობის გადავარდნის შემდგომ სხვადასხვა წოდებებს შორის დაუნდობელი ბრძოლა გარდაუვალი გახდებოდა.

არჩევითპასუხიანი

ძლიერი მხარეები	სუსტი მხარეები
მოსახერხებელია ყველა დონის კოგნიტური უნარის გასაზომად.	შედგენას დიდი დრო სჭირდება.
დიდი მოცულობის მასალის შემოწმება შეიძლება შედარებით მცირე ზომის ტესტით.	რთულია სავარაუდო პასუხების (განსაკუთრებით მცდარის, ე.წ. დისტრაქტორების) ფორმულირება.
ქულების მინიჭება ადვილია და ობიექტურობა გარანტირებულია.	არსებობს ერთზე მეტი სწორი პასუხის არსებობის საშიშროება.
პასუხების შემთხვევითი გამოცნობის ალბათობა მცირეა.	

რეკომენდაციები



- პირობა მარტივი ენით უნდა იყოს ჩამოყალიბებული;
- სავარაუდო პასუხები უნდა იყოს ერთნაირი სიგრძის;
- პირობა ორმაგი უარმყოფელი მტკიცებულებით არ უნდა იყოს ფორმულირებული;
- სასურველი არ არის ისეთი სიტყვების გამოყენება, როგორებიცაა: “ყველა”, “არც ერთი”, “არასდროს”, “ყოველთვის”;
- გამოცნობის გასართულებლად შესაძლებელია მსგავსების გაზრდა პასუხებს შორის;
- სასურველია ერთ გვერდზე განთავსდეს;
- პასუხები ანბანის ან რაიმე ლოგიკის მიხედვით უნდა იყოს დალაგებული.

ტესტური დავალებები შესაბამისობის დადგენაზე

რაობა	• ეს არის ტესტური დავალების ტიპი, რომელშიც მოსწავლემ უნდა დაამყაროს შესაბამისობა ორ ელემენტს შორის: ტესტში მოცემულ პირობასა და პასუხებს შორის. • მოცემული ტიპის დავალება არის დახურული ტიპის დავალების მოდიფიკაცია, რომელსაც რამდენიმე არჩევანი აქვს. ამ შემთხვევაში პასუხის არჩევანი შეზღუდულია მიმართების დამყარებით. • შესაძლებელია, პირობებისა და პასუხების რაოდენობა იყოს თანაბარი, თუმცა შემთხვევითი გამოცნობის თავიდან აცილების მიზნით, სასურველია პირობა იყოს სავარაუდო პასუხების რაოდენობაზე ნაკლები.
გამოყენება	• ასეთი ტიპის დავალება გამოიყენება მაშინ, როდესაც გვინდა მოვლენებს შორის კავშირების ცოდნისა და გააზრების გადამოწმება. • დავალება ცხრილის სახით არის ხოლმე მოცემული. ერთ სვეტში მოცემულია პირობები, მეორე სვეტში კი – პასუხები. • ტესტს თან ერთვის ინსტრუქცია, რის გაკეთება ევალება მოსწავლეს.

ტესტური დავალებები შესაბამისობის დადგენაზე

	მაგალითები
	დააწყვილე ზღაპრის პერსონაჟები და მათი თვისებები. გაითვალისწინე, ერთი თვისება ზედმეტია. მაგალითი: 1. ნაცარქექია 2. დედინაცვალი 3. ხუთკუნჭულა 4. დევი ა) ძლიერი ბ) კეთილი გ) ზარმაცი დ) მოხერხებული ე) ჯიუტი

შესაბამისობის დავალებები

ძლიერი მხარეები	სუსტი მხარეები
ადვილია ქულების დათვლა.	რთულია ინსტრუქციის ფორმულირება.
მოსახერხებელია, როცა გვაინტერესებს ფაქტებს შორის კავშირის დადგენა.	რთულია დავალების ფორმულირება.
დაბალია სწორი პასუხების შემთხვევითი გამოცნობის ალბათობა.	დავალებები ფოკუსირებულია უფრო მეხსიერებაზე, ვიდრე მაღალი დონის უნარებზე.

რეკომენდაციები



- დავალებას უნდა ახლდეს ინსტრუქცია, რა ევალება მოსწავლეს, შეიძლება თუ არა ერთი და იმავე პასუხის რამდენჯერმე გამოყენება;
- რა ფორმით დაამყაროს მიმართება პასუხებსა და პირობებს შორის (დახაზოს, ჩაწეროს თუ სხვა);
- პასუხი და პირობა არ უნდა იყოს თანაბარი;
- ყველა პირობა უნდა იყოს დანომრილი, პასუხები კი - ასოებით აღნიშნული;
- უნდა იყოს მოკლე და ჰომოგენური;
- უნდა განთავსდეს ერთ გვერდზე;
- არ უნდა შეიცავდეს რაიმე ტიპის მინიშნებას, რაც გააადვილებს სწორი პასუხის ამოცნობას.

ტესტური დავალება სწორი თანმიმდევრობის დამყარებაზე

რაობა	• ტესტური დავალების ეს ტიპი ამოწმებს მოვლენების, პროცესების თანმიმდევრობის ცოდნას. დავალებაში შემთხვევითი (არეული) თანმიმდევრობით ჩამოთვლილია გარკვეული მოქმედებები, პროცესები, ელემენტები და მოსწავლეს მოეთხოვება მათი გარკვეული პრინციპით დალაგება. • მსგავსი ტიპის დავალებებს თან ერთვის შემდეგი სახის ინსტრუქცია: „დაალაგეთ სწორი/მართებული თანმიმდევრობით.“
გამოყენება	ასეთი სახის დავალება იმ შემთხვევაში გამოიყენება, როდესაც გვინდა გავარკვიოთ, რამდენად კარგად იცის მოსწავლემ კონკრეტული მოვლენისა თუ პროცესის თანამიმდევრობა. პროცესებს თუ მოვლენებს ერთი სწორი თანამიმდევრობა უნდა ჰქონდეს.

ტესტური დავალება სწორი თანმიმდევრობის დამყარებაზე

მაგალითები

ქვემოთ მოცემულია მოთხრობაში განვითარებული მოვლენები არეულად. აღადგინე მოვლენების თანამიმდევრობა, წინადადებებს წინ მიუწერე ნომრები თანმიმდევრობის შესაბამისად (პირველი უკვე მითითებულია).

. . . მამა დააპატიმრეს.
. . . უკანა კარებიდან გადმოხტნენ თოფიანი ჯარისკაცები.
. . . ვანო ძია სახლში ესტუმრათ.
. . . ბიჭი გაიქცა, გავარდა გარეთ.
. . . თურმე სულ იცინოდა.
. . . ოჯახი თბილისს შეეხიზნა.
. 1 . მამას სოფელი ებარა.
. . . ბებო და პატარა ძმა პატიმრის სანახავად ვერ წავიდნენ.
. . . უკან შემობრუნებულიც უყურებდა

სწორი თანამიმდევრობის დადგენა

ძლიერი მხარეები	სუსტი მხარეები
ორიენტირებულია არა მარტო ცოდნაზე, არამედ ანალიზისა და სინთეზის ოპერაციების გამოყენებაზე.	ყველა დისციპლინისათვის რთულია ამ ტიპის დავალების შედგენა.

რეკომენდაციები



- შეარჩიეთ ისეთი დავალება, რომელშიც თანამიმდევრობის დაცვას არსებითი მნიშვნელობა აქვს;
- ტესტურ დავალებას გაუკეთეთ მარტივი და გასაგები ინსტრუქცია.

ტესტური დავალება ღია დაბოლოებით (მოკლე პასუხით)

რაობა	• ტესტური დავალება ღია დაბოლოებით თვითონ მოსწავლემ უნდა შეავსოს, დაასრულოს. • შესაძლოა ჩასაწერი იყოს– ერთი სიტყვა, ციფრი, სიმბოლო ან ვრცელი პასუხი (მსჯელობა, საზეპირო, ან სულაც მოკლე შინაარსი).
გამოყენება	• ასეთი ტიპის დავალება გამოიყენება იმ დროს, როდესაც გვინდა დროის მცირე მონაკვეთში დიდი მოცულობის მასალის ცოდნის და ნაცნობ სიტუაციაში ნასწავლი მასალის გახსენების უნარის შემოწმება. • მსგავსი ტიპის დავალებას სტანდარტული ინსტრუქცია ახლავს თან -“ჩასვით გამოტოვებული სიტყვა“ ან „დაასრულეთ ფრაზა“.

ტესტური დავალება ღია დაბოლოებით (1)

მაგალითები	
1.	თქვენ წინაშეა ორი სხვადასხვა ნაწყვეტი რომანიდან „დათა თუთაშხია“. დაასრულეთ ქვემოთ ჩამოთვლილი წინადადებები იმის მიხედვით, თუ როგორ წარმოგვიდგებიან ეს პერსონაჟები ამ ორ ნაწყვეტში. პირველ ტექსტში ანდრიევსკი გვევლინება, როგორც . . . . . . მეორეში კი – როგორც . . . . . . პირველ ტექსტში დათა თუთაშხიას ვეცნობით, როგორც . . . . მეორეში კი – როგორც . . . . .
2.	ჩაწერე სიტყვა, რომელიც გამოტოვებულია წინადადებაში: მეჯინიბემ ცხენს ……. დაადგა.

ღია დავალება მოკლე პასუხით

ძლიერი მხარე	სუსტი მხარე
ადვილია შედგენა.	დავალების სირთულის დონე ნაკლებია, ზომავს უფრო გახსენებას, ვიდრე მაღალი დონის სააზროვნო უნარებს.
ნაკლებია სწორი პასუხის შემთხვევით გამოცნობის ალბათობა.	
შევსებას სჭირდება უფრო ნაკლები დრო, ვიდრე არჩევითპასუხიანს.	
ეფექტურად ზომავს დაბალი დონის სააზროვნო უნარებს.	

რეკომენდაციები

- ენა უნდა იყოს მაქსიმალურად გასაგები და არაორაზროვანი;
- რეკომენდებულია ტექსტი პირდაპირ არ იყოს აღებული მასალიდან;
- სასურველია გამოტოვებული სიტყვა /სიტყვები იყოს წინადადების ბოლოსკენ და არა თავში.

ესე

შეზღუდული პასუხის ესე	• ასეთი ესე ტარდება კლასში და არ მოითხოვს ძალიან ვრცელ პასუხს; დავალების შესრულების დრო განსაზღვრულია, მაგალითად, 1 სთ-ით; • შეზღუდული პასუხის ესესათვის შეიძლება, მაგალითად, ამგვარი საკითხის გამოყენება: შემოთავაზებული ორი თემიდან აირჩიეთ ერთ-ერთი და გამოთქვით თქვენი აზრი, რამდენად ეთანხმებით ან არ ეთანხმებით მოცემულ თვალსაზრისს. ახსენით თქვენი პოზიცია და თქვენი მოსაზრებები დაასაბუთეთ არგუმენტებითა და მაგალითებით. • ნამუშევარი არ უნდა აღემატებოდეს 300 სიტყვას.
გავრცობილი პასუხის ესე	• ვრცელ ესეს, რომელიც 10, 15, 20 გვერდს აღწევს, გავრცობილი პასუხის ესეს უწოდებენ; • როგორც წესი, ასეთ ესეს მოსწავლეები სახლში წერენ და ამისათვის მათ საკმარისი დრო ეძლევათ. მაგალითად, 2 კვირა,1 თვე და ა.შ. საკითხის სირთულის მიხედვით.

ესე

	მაგალითები
	აღწერეთ და შეაფასეთ ქვეყნისა და საზოგადოების მდგომარეობა ამ მოთხრობის მიხედვით. ---------- ---------- ---------- ---------- ---------- ---------- ---------- ---------- ---------- ---------- ---------- ----------

ესე

ძლიერი მხარეები	სუსტი მხარეები
ამოწმებს მაღალი დონის სააზროვნო უნარებს.	რთულია ობიექტურობის დაცვა.
ადვილია შესაქმნელად.	რთულია შეფასების კრიტერიუმების შემუშავება.
გამორიცხავს სწორი პასუხის შემთხვევით გამოცნობას.	შეფასებას დიდი დრო სჭირდება.
პასუხის გაცემისას მოსწავლე შედარებით თავისუფალია.	

რეკომენდაციები

- საკითხი ჩამოყალიბებული უნდა იყოს ნათლად და გასაგებად;
- უნდა ახლდეს ინსტრუქცია, რას მოითხოვთ მოსწავლისაგან (დააკონკრეტეთ მოცულობა, წყარო, ჩამოყალიბების ფორმა);
- სასურველია დაიწყოთ შემდეგი სიტყვებით: შეადარე, ახსენი, დაასაბუთე, მოიყვანე მაგალითები და ა.შ.

ტესტის შემუშავების საფეხურები

- “სასწავლო მიზნების ფორმულირება;
- ტესტური პროექტის შედგენა;
- ტესტური დავალებების შედგენა;
- ტესტური დავალებების განხილვა და შეფასება;
- ტესტის საბოლოო ვარიანტის შექმნა.

მიზნების ფორმულირება

- მაგალითი:
- მოსწავლეს უნდა ესმოდეს რომანტიზმის არსი.
- მოსწავლემ უნდა შეძლოს რომანტიზმის ნიშნების განსაზღვრა და შესწავლილი მასალიდან მაგალითების მოყვანა

- მოსწავლემ უნდა გამოიყენოს ახლად ნასწავლი ლექსიკური ერთეულები.
- მოსწავლემ უნდა ჩასვას წინადადებაში ახლად ნასწავლი ლექსიკური ერთეულები სწორად. სამუშაო შესრულებულად ჩაითვლება, თუ არ იქნება დაშვებული არც ერთი შეცდომა და მოსწავლეს არ დასჭირდება 10 წუთზე მეტი.

ტესტის დიზაინი

1	ტესტის ყველა დავალებას უნდა ჰქონდეს ნომერი;
2	ტესტური დავალებები უნდა იყოს რანჟირებული; ერთნაირი ტიპის ტესტური დავალებები ერთად უნდა იყოს.
3	ტესტური დავალებები ნაკლებად რთულიდან უფრო რთულისაკენ უნდა იყოს დალაგებული.
4	ტესტური დავალების პირობა და პასუხები (დისტრაქტორები) არ უნდა იყოს გაყოფილი; ისინი ერთ გვერდზე უნდა განთავსდეს.
5	ტესტური დავალებები ერთმანეთისაგან გამოყოფილი უნდა იყოს.
6	დახურული ტიპის ტესტური დავალების პასუხები კოდირებული უნდა იყოს, ანუ ყველა პასუხს უნდა ჰქონდეს შესაბამისი ნომერი მიწერილი;
7	ღია ტიპის დავალებებისათვის გამოყოფილი უნდა იყოს საკმარისი ადგილი პასუხის ჩასაწერად.
8	ტესტური დავალებების სწორი პასუხების განაწილება შემთხვევითი უნდა იყოს; ანუ სწორი პასუხები ერთსა და იმავე ციფრს ან ასოს არ უნდა ემთხვეოდეს.
9	თუ ტესტში ვიყენებთ ვიზუალურ მასალას, ილუსტრაციებს, დიაგრამებს, ცხრილებს და ა.შ. ის უნდა იყოს გასაგები და ადვილად აღქმადი.
10	ტესტი უნდა იყოს დაბეჭდილი და ტექსტის შრიფტი ადვილად აღქმადი; რეკომენდებულია 11-12 შრიფტის ზომის გამოყენება

ტესტური პროექტი

ტესტური პროექტი გულისხმობს ზოგადი გეგმის შემუშავებას, თუ რას ვზომავთ, რა ტიპის ფორმატს ვიყენებთ, რამდენად ადეკვატურია ეს ფორმატი, დროის და ადამიანური რა რესურსები გვაქვს და ა.შ.

ტესტურ პროექტში სასურველია შემდეგი კომპონენტები შევიდეს:

1	შინაარსი	ტესტურ პროექტში უნდა შევიდეს იმ თემების ჩამონათვალი, რომელთა შეფასებასაც ვაპირებთ და, აგრეთვე, ჩვენთვის მნიშვნელოვანი მიზნები.
2	კატეგორიები	გეგმაში უნდა აისახოს, რა უნარებს და რა დონეზე ვზომავთ; შეიძლება ტესტის გარკვეული ნაწილით ვზომავდეთ ცოდნის დონეს, შემდეგი ნაწილით - ანალიზს და ა.შ. ტესტის აგებამდე უნდა ვიცოდეთ, რა უნარებს და რატომ ვზომავთ, ასევე მათი წილი (დაახლოებითი პროცენტი) საერთო ტესტში. ასევე უნდა განისაზღვროს რომელი დონისათვის რამდენი დავალება გვჭირდება.
3	დავალებათა რაოდენობა	თითოეული კატეგორიისათვის უნდა განისაზღვროს რა რაოდენობის დავალების შემუშავება გვჭირდება, იმისათვის, რომ ეს კატეგორია სანდოდ გაიზომოს.
4	დავალებებისათვის განკუთვნილი დრო	პროექტში უნდა აისახოს, რა დრო სჭირდება თითოეული დავალების შესრულებას; ამის საფუძველზე აგრეთვე შესაძლებელია ტესტის შესრულებისათვის საჭირო დროის განსაზღვრა.
5	ასაკობრივი ჯგუფი	ასაკობრივი ჯგუფი / კლასი, რომელსაც ვუტარებთ ტესტირებას; ტესტში გათვალისწინებული უნდა იყოს მათი ასაკობრივი თავისებურება.

ტესტური პროექტის მატრიცა

	ცოდნა	გაგება	გამოყენება	სულ
არსებითი სახელი	4 არჩევითპასუხიანი დავალება 4 წთ.	7 არჩევითპასუხიანი დავალება 5 წთ.	4 ღია ტიპის დავალება 7 წთ.	15 (39%) 16 წთ.
რთული სიტყვების მართლწერა	3 არჩევითპასუხიანი დავალება 2 წთ.	3 არჩევითპასუხიანი დავალება 2 წთ.	5 ღია ტიპის დავალება 6 წთ.	11 (29%) 10 წთ.
ნაცვალსახელი	5 არჩევითპასუხიანი დავალება 4 წთ.	2 შესაბამისობის დავალება 2 წთ.	5 ღია ტიპის დავალება 7 წთ.	12 (32%) 13 წთ.
სულ	12 (32%) 10 წთ.	12 (32%) 9 წთ.	14 (36%) 20 წთ.	38 (100%) 39 წთ.

ტესტის მონაცემთა ინტერპრეტაცია

1	ტესტის მონაცემების ინტერპრეტაცია შეფასების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ეტაპია; ტესტს სწორედ იმისათვის ვიყენებთ, რომ შევძლოთ მიღებული შედეგების საფუძველზე მოსწავლეების შეფასება.
2	შეფასების ობიექტურობის მიზნით რეკომენდებულია მასწავლებელმა გამოიყენოს შეფასების ე.წ „ბრმა“ მეთოდი; ანუ თითოეულ ნაწერს მიანიჭოს გარკვეული კოდი (ციფრი, რიცხვი), მოაცილოს ტესტს მოსწავლის სახელი/გვარი და ნამუშევრის გასწორების შემდეგ კვლავ მოახდინოს კოდის მიხედვით ნამუშევრების იდენტიფიცირება.
3	ტესტირების ჩატარების შემდეგ მნიშვნელოვანია ტესტის შედეგების გაცნობა მოსწავლეებისათვის.
4	ტესტის მონაცემების ანალიზისათვის მიზანშეწონილია ცხრილის შედგენა, სადაც შესაძლებელი იქნება თითოეული მოსწავლისათვის სწორი და არასწორი პასუხების აღნიშვნა.
5	ტესტის მონაცემების ინტერპრეტაცია შეფასების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ეტაპია; ტესტს სწორედ იმისათვის ვიყენებთ, რომ შევძლოთ მიღებული შედეგების საფუძველზე მოსწავლეების შეფასება.

ტესტის მონაცემთა ინტერპრეტაცია

გახსოვდეთ!

- თუ ყველა მოსწავლე 100%-ით ასრულებს ტესტს, ასეთი ტესტი არ მოგვცემს მოსწავლეებს შორის დიფერენციაციის შესაძლებლობას. ასეთი ტესტი ძალიან იოლია;
- მეორე მხრივ, თუ ვერც ერთი სტუდენტი ვერ ასრულებს ტესტს, ეს იმას ნიშნავს, რომ მოსწავლეებს ეს ცოდნა და უნარები ათვისებული არა აქვთ.
- თუ შედგენილ ტესტს ასრულებს მოსწავლეთა 70%-ზე ნაკლები, ასეთ შემთხვევაში ტესტი თავიდანაა გადასახედი.

N	1	2	3	4	5	6	7	8	9	10	11	12	13	14	15	16	17	18	19	20	χ.
1.	1	1	1	0	1	1	1	0	0	1	1	1	0	1	0	1	0	0	0	0	10
2.	1	0	0	1	1	1	1	1	1	1	0	0	1	1	1	1	1	1	1	1	16
3.	0	1	1	1	1	1	0	0	1	0	1	1	1	1	1	0	0	1	1	1	14
4.	1	1	1	1	1	1	0	1	1	1	1	1	1	1	1	0	1	1	1	1	18
5.	1	0	0	1	1	1	0	1	1	1	0	0	1	1	1	0	1	1	0	0	12
6.	1	1	0	1	1	1	0	1	1	1	1	0	1	1	1	0	1	1	0	0	14
7.	1	0	1	1	0	1	1	1	0	1	0	1	1	0	1	1	1	0	1	1	14
8.	0	1	1	0	1	0	1	1	1	0	1	1	0	1	0	1	1	1	1	1	14
9.	1	1	1	1	1	1	0	1	1	1	1	1	1	1	1	0	1	1	0	0	16
10	0	1	1	0	0	1	1	1	1	0	1	1	0	0	1	1	1	1	1	1	14
%	7 70%	7 70%	7 70%	7 70%	8 80%	8 80%	5 50%	8 80%	8 80%	7 70%	7 70%	7 70%	7 70%	8 80%	8 80%	5 50%	8 80%	8 80%	6 60%	6 60%	142 71%

ცენტრალური ტენდენცია - ქულები, რომლებიც ყველაზე ხშირად გვხვდება და რომელიც უახლოვდება ტიპურ შესრულებას.

ცენტრალური ტენდენციის საზომები - მოდა, მედიანა და შერჩევის საშუალო.



მოდა - ქულა, რომელიც ქულათა განაწილებაში ყველაზე ხშირად გვხვდება.

მედიანა - ქულა განაწილებაში, რომლის ზემოთ და ქვემოთ განლაგებულია ქულათა ტოლი რაოდენობა, ანუ ეს არის შუაში მდგომი ქულა.

შერჩევის საშუალო - მიღებულ ქულათა ჯამი გაყოფილი ქულათა საერთო რაოდენობაზე.

გმადლობთ
ყურადღებისათვის!